შპს ნიუ როუდ ჯგუფი LTD New Road Group

თბილისი, მ.ბურძგლას ქ. N74 office@new-road.ge

N 2 27 მაისი 2019წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „ნიუ როუდ ჯგუფი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 441996663) ქ. თერჯოლაში, მმკ-69-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საწარმოო ზონის 2 მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 33.09.43.504 და 33.09.43.505), რომლებიც წარმოადგენენ შპს „თერჯოლა ოილი“-ს საკუთრებას, გეგმავს სტაციონალური ასფალტის ქარხნის მოწყობას აწარმოე საქართველოს პროგრამის ფარგლებში. პროექტის მიზანი იქნება რეგიონში და ზოგადად დასავლეთ საქართველოში უახლოეს მომავალში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების (საერთაშორისო, შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები) მომარაგება საგზაო სამშენებლო მასალით. აქედან გამომდინარე პროექტის განხორციელებას მნიშვნელობა ენიჭება არამარტო ადგილობრივი, არამედ რეგიონალური მასშტაბით.

პროექტი განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, კერძოდ: პუნქტი 5.3. – „ასფალტის წარმოება“. გამომდინარე აღნიშნულიდან საქმიანობა ექვემდებარება კოდექსის მე-7 მუხლით გაწერილ სკრინინგის პროცედურას და შესაბამისად ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას.

წერილს თან ერთვის კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ:

- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს. გთხოვთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაითვალისწინოთ დაგეგმილი საქმიანობის მნიშვნელობა და შეზღუდული ვადები დასავლეთ საქართველოში დაგეგმილ ინფრასტრუქტურული პროექტების დროული მომსახურებისთვის.

ამასთანავე ვთვლით, რომ წერილის დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია საკმაოდ დეტალურად ასახავს პროექტის გახორციელების შედეგად მოსალოდნელ გარემოზე ზემოქმედების საკითხებს. მათ შორის განხილულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რისკები, რაც ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე ზემოქმედების ძირითადი სახეებია. ამასთან დაკავშირებით მომზადდება და სამინისტროს შესათანხმებლად წარმოედგინება საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი ჰაერდაცვითი დოკუმენტაცია.

პატივისცემით,
შპს „ნიუ როუდ ჯგუფ“-ის დირექტორი
დავით ჟღენტი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 7652
27 05 2019
1 ფ.
02